

ტუსა ღარიბაშვილი, ქეთა ბეჟიტაშვილი

„ჩვენ, ორმა გოგომ, ავაშენეთ 30 კვ.მ სათბური თბილისთან ახლოს. ამისთვის დავამზადებინეთ სტელაჟები და დავიწყეთ მიკრომწვანილის მოყვანა ვერტიკალური პრინციპით, რამაც საშუალება მოგვცა, მცირე ფართობზე მეტი მოსავალი მიგვეღო. ექსპერიმენტის პროცესში არავინ ჩავრთეთ, თვითონ ვსწავლობდით, ვიკვლევდით, ექსპერტებს ვწერდით საზღვარგარეთ და რჩევებს ვითვალისწინებდით“.

Urban Greens-ის იდეა ორი წლის წინ გამიჩნდა, მაგ დროს ჩართული ვიყავი კულინარიულ საქმეებში, ბევრი შეფმზარეული ჩემი მეგობარია და მათი საქმიანობა გახდა ჩემი შთაგონების წყარო, რომ ამ პროექტზე დამეწყო მუშაობა. იდეის დამუშავების პროცესში ერთ-ერთმა ჩემმა მეგობარმა, ქეთა ბეჟიტაშვილმა, რომელიც დღეს URBAN GREENS-ის თანადამფუძნებელია, ხელი შემიწყო, რომ იდეა რეალობად გვექცია, მასაც არ ჰქონდა გამოცდილება ამ სფეროში, მაგრამ სურვილი და მოტივაცია დიდი იყო“.